

ქირურგიული სერვისების დონებისა და ჩარევების კატეგორიის შესაბამისად,საექთნო კადრებით უზრუნველყოფისა და დათვლის წესი

სამუშაო ძალის მართვა (კადრებით დაკომპლექტება)

პრინციპები, ფასეულობები, პასუხისმგებლობები:

- პერსონალით სწორად დაკომპლექტება გავლენას ახდენს ყველა ექთნის უნარზე რომ განახორციელონ უსაფრთხო, ხარისხიანი ზრუნვა პრაქტიკის ყველა დონეზე და პრაქტიკის ყველა სფეროში.
- **საექთნო მოვლის მიწოდება მრავალმხრივია და საჭიროებს კვალიფიკაციის შესაბამისად სტანდარტებზე მორგებული დონისძიებების გატარებას, როგორცაა:**
 - პაციენტის მოვლის საჭიროებების განსაზღვრა;
 - პერსონალის უნარების შეფასება;
 - საექთნო პერსონალის განათლება;
 - პერსონალის კომპეტენციის დონის განსაზღვრა;
 - სამუშაო არის (განყოფილების) სპეციფიკის განსაზღვრა.
- **მენეჯერ ექთნებს აქვთ პროფესიული მოვალეობა რომ იცოდნენ პერსონალით დაკომპლექტების შესახებ პროცესებისა და ორგანიზაციული ფუნქციების თაობაზე, როგორც მათი პაციენტებისადმი პასუხისმგებლობის ნაწილი.**
- **კადრებით დაკომპლექტების პროცესის ოთხი ფაზა:**
 - პროგნოზირება (მოიცავს ბიუჯეტირებას და დაგეგმვას);
 - განრიგის შედგენა;
 - პერსონალით დაკომპლექტება;
 - გაუმჯობესება (შედეგების მონიტორინგი და ანალიზი);
- **ძირითადი საბაზისო საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერიოპერაციული დახმარების ეტაპზე ექთნების დაკომპლექტებისათვის:**
 - პროფესიული განათლების მე-5 საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის დიპლომი+ პოსტდიპლომური გადამზადების სერთიფიკატი (სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებული) ინტრაოპერაციული საექთნო მართვა და ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
 - სექთანო საქმის ბაკალავრის დიპლომი +პოსტდიპლომური გადამზადების სერთიფიკატი (სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებული) ინტრაოპერაციული საექთნო მართვა და ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
 - პროფესიული განვითარებისა და ინფორმაციის უწყვეტად განახლების მიზნით პროფესიული ასოციაციების წევრობა;
 - ეროვნული რეგულაციების შესაბამისად პროფესიული სტანდარტისა და საექთნო პრაქტიკის სტანდარტის ფლობა და გამოყენება სამუშაო პროცესში.

საექთნო ჩარევები პერიოპერაციული დახმარების ეტაპზე, სამუშაო არეებში განისაზღვრება პაციენტის საჭიროების შესაბამისად:

- პროოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა საექთნო მართვის საჭიროება, ქირურგიული ჩარევის კატეგორიის მიხედვით
- ინტრაოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა საექთნო მართვის საჭიროება, ქირურგიული ჩარევის კატეგორიის მიხედვით
- პოსტოპერაციულ ეტაპზე 24 სთ და ნაკლები დაყოვნების შემთხვევებში გეგმიური საექთნო მართვა;
- პოსტოპერაციული ხანგრძლივი/ინტენსიური მოვლის საჭიროება (გეგმიური საექთნო მართვა);
- პოსტოპერაციული დაკვირვებისა და მონიტორინგის ეტაპზე გეგმიური საექთნო მართვა

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

ოსიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს პერიოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა საექთნო მართვა

იმისათვის, რომ ხშირად ცვლად გარემოში, სწორად იქნას მართული ექთნების სამუშაო პროცესი და ვუზრუნველყოთ პაციენტის უსაფრთხო მოვლა და ხარისხიანი სერვისების მიწოდება, აუცილებელია, საექთნო პერსონალით უზრუნველყოფა იყოს ადაპტირებული და ადექვატური:

- პრეოპერაციულ სტაციონარულ ეტაპზე პაციენტთა საექთნო მართვის საჭიროება, ქირურგიული სერვისების ნებისმიერ დონეზე ექთანი პაციენტის თანაფარდობა 1/3-1/5;
- ინტრაოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა საექთნო მართვა ქირურგიული სერვისების ნებისმიერ დონეზე ერთ საოპერაციო ოთახზე 2 საოპერაციოს ექთანი - 2/1;
- (ძირითადი და ასისტენტი ექთანი)+ ანესთეზიის ექთანი 1/1;+აღჭურვილობის ექთანი 1/2 (ერთი ექთანი ორ საოპერაციოზე)
- პოსტოპერაციულ ეტაპზე 24 სთ და ნაკლები დაყოვნების შემთხვევებში გეგმიური საექთნო მართვა -ექთანი პაციენტის თანაფარდობა 1/2 – 1/3
- პოსტოპერაციული ხანგრძლივი/ინტენსიური მოვლის საჭიროება (გეგმიური საექთნო მართვა); 1/1 – 1/2
- პოსტოპერაციული დაკვირვებისა და მონიტორინგის ეტაპზე(ქირურგიული სტაციონარი ზრუნვის)მე-3 ეტაპი გეგმიური საექთნო მართვა; 1/3 – 1/5

ექთანი /პაციენტის თანაფარდობა განისაზღვრება 3 ძირითადი კატეგორიის მიხედვით , საექთნო საქმიანობის როლის (საექთნო ინტერვენციების კატეგორიები და ჯერადობა) და პაციენტის ზრუნვის საჭიროებების საფუძველზე:

ქირურგიული პერსონალით დაკომპლექტების წესი

ცხრილი N1

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

ქირურგიული ფაზა	მინიმალური საჭიროებები	კომენტარები
განრიგის შედგენა (1 სპეციალური პირის მიერ ოპერაციამდელი მეთვალყურეობა. RN–რეგისტრირებული ექთანი.	დამოკიდებულია მომსახურეობის ფორმატზე. ეს საქმიანობა შეიძლება აერთიანებდეს სხვა ბიზნესს ან სპეციალურ მოვალეობებს. თანამშრომლების დამატებითი წევრები შესაძლოა დამოკიდებულნი იყვნენ მოვლობაზე და საათებზე, რაც გათვალისწინებულია ცხრილის უწყებით.
მოქმედების პროგრამის შემუშავება	1 RN	დამოკიდებულია რეგულირებისა და საქმიანობის დონეზე, ეს საფეხური შესაძლოა საჭიროებდეს დამატებით RN-ის და თანმხლებ მხარდაჭერას. ეს შესაძლოა მოიცავდეს წინასაოპერაციო სატელეფონო ზარებს/ინერვიუებს ან დაგეგმარებას სპეციალიზირებული მარაგისა და აღჭურვილობის მოსამზადებლად პაციენტის საჭიროებებისამებრ.
რეგისტრაცია (რეგისტრაციის ექთანი)–	დამხმარე პირი	დამხმარე პირების რაოდენობა დამოკიდებულია დაწესებულებაზე, საქმიანობის დონეზე, განსაზღვრული პაციენტების რაოდენობაზე, პროცედურებისა და მანიპულაციების სახეობებზე და სხვა შესაძლო კომბინირებულ დავალებებზე.
ოპერაციის დღე: წინასაოპერაციო	1 RN	დამატებითი RN-ის რაოდენობა უნდა იყოს დაფუძნებული პაციენტების რაოდენობაზე, საპროცედურო ოთახების რაოდენობაზე, პაციენტის მდგომარეობის ხარისხზე, მანიპულაციების სახეობებზე, პაციენტის მოვლისთვის საჭირო აღჭურვილობის სირთულეზე, დავალებების შესრულების დროის საჭიროებაზე, პაციენტის ასაკობრივ საჭიროებებზე და ინდივიდუალური პაციენტის მომზადებისთვის საშუალოდ საჭირო დროზე. ლიცენზირებული პრაქტიკოსი ექთნები და არალიცენზირებული ასისტენტი პერსონალი შესაძლოა მოიცავდნენ წინასაოპერაციო სამუშაო გუნდის გეგმებს. არალიცენზირებული ასისტენტი პერსონალი შესაძლოა დანიშნული იყოს პაციენტის მზრუნველობისთვის საჭირო დავალებების შესრულებისთვის, რაც განსაზღვრულია RN-ის მიერ და ხორციელდება საექთნო პრაქტიკის მასშტაბის ინდივიდუალური სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი რეგულაციების გათვალისწინებით.
ინტრაოპერაციული	1 RN –საოპერაციოს ექთანი- 1 საოპერაციოზე (1/1) თითოეული პაციენტის რეგულირებაში. 1 დამხმარე ექთანი (scrub), შავი საქმის შესრულებისთვის საჭირო პირი თითოეული პაციენტისთვის თითოეულ ოთახში. ქირურგიული ტექნოლოგი ექთანი (აღჭურვილობის) ან დამხმარე ექთანი, ზოგიერთ გარემოებაში შავი საქმის შემსრულებელი პირი, შესაძლოა არ იყოს აუცილებელი.	დამატებითი სამუშაო გუნდის წევრები (ანესთეზიის ექთნები) ადექვატური კომპეტენციით, შესაძლოა გამოყენებულ იქნან შემდეგი სახით: -ზოგადი ანესთეზიის ეტაპზე 1 RN აწარმოებს პაციენტების მონიტორინგს. -ადგილობრივი ანესთეზია- დამოკიდებულია პაციენტის საჭიროებებზე, საექთნო მზრუნველობის განსაზღვრებაზე და მანიპულაციების ტიპზე. შესაძლოა ზოგჯერ საჭიროებდეს დამატებით მონიტორინგს რეგისტრირებული ექთნის მიერ. - კომპლექსური ქირურგიული მანიპულაციები და პაციენტები სხვადასხვა ტიპის ჩარევების საჭიროებებით - დამატებითი RN (ანესთეზიის ექთანი) ზედამხედველობითა და შავის საქმის შემსრულებელი პირებით. - ტექნოლოგიური მოთხოვნილებები(ლაზერები, რობოტოტექნიკა, აუდიოვიზუალური აღჭურვილობა, აუდიო ტრანსფუზიის მექანიზმი) - პირველადი დახმარების აღჭურვილობა.
პოსტოპერაციული ფაზა ეტაპი I - მზრუნველობის საფეხური	ორი დიპლომირებული ექთანი, რომელთაგან ერთი იქნება რეგისტრირებული ოპერაციის შემდგომი ავადმყოფის მოვლის ფაზისთვის, პოსტანესთეზიურ ეტაპზე. კადრების უზრუნველყოფა გამონატავს წინასაანესთეზიო საექთნო საქმის ამერიკულ ორგანიზაციას – „პაციენტთა კლასიფიკაცია რეკომენდირებულია პერსონალის გაიდლაინით.	მზრუნველობის დონე I ჯგუფი I - 1:2-1 ექთანი ორი პაციენტისთვის, რომლებიც არიან – 1 ცნობიერების გარეშე, სტაბილური, მართვითი სუნქტივის გარეშე, > 8წლის ასაკში და 1 ცნობიერი, სტაბილური, გართულებების გარეშე. - 2 ცნობიერი, სტაბილური და გართულებების გარეშე. - 2 ცნობიერი, სტაბილური, < 8წლის ასაკიდან და პერიდში ოჯახის ან კომპეტენტური მხარდაჭერი გუნდის წევრების წარდგენით. კატეგორია 1:1-1 ექთანი ა ერთ პაციენტთან. - პაციენტის პოსტიტალიზაციის დროს მანამ, სანამ კრიტიკული მდგომარეობა სახეზეა . - არასტაბილური სასუნთქი გზები. - ნებისმიერი < 8წელზე ან პაციენტი არაცნობიერი მდგომარეობით

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

		<p>– მეორე ექთანი ანგარიშვალდებულია გაუწიოს ასისტენტობა თუ საჭიროება მოითხოვს. ჯგუფი 2:1– 2ექთანი 1 პაციენტისთვის. – კრიტიკული, არასტაბილური, სხვადასხვა გართულებებით პაციენტები. დამატებითი გუნდის წევრები უნდა შედიოდნენ მხარდამჭერ ჯგუფში. არალიცნზირებული ასისტენტები შესაძლოა დელეგირებული იქნან პაციენტის მოვლის ეტაპზე დასახმარებლად სხვადასხვა დავალებებით. (ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.)</p>
<p>ეტაპი II - მზრუნველობის საფეხური</p>	<p>ორი კომპეტენტური პირი, რომელთაგან ერთი არის რეგისტრირებული ექთანი მეორე ფაზის პოსტსაანესთეზიო საექთნო პრაქტიკაში, რომელიც იმყოფება იგივე ოთახში, სადაც პაციენტი იღებს მზრუნველობის მეორე ფაზას. რეგისტრირებული ექთანი აუცილებლად უნდა იყოს მოვალეობის შესრულების პროცესში ნებისმიერ ეტაპზე, პაციენტის შესაბამისი მდგომარეობის მიხედვით.</p>	<p>ფაზა II მზრუნველობის დონე. ჯგუფი 1:3–1 ექთანი 3 პაციენტისთვის. – 8წლის ასაკიდან. – < 8წლის ასაკში ოჯახის წევრის ზედამხედველობით ჯგუფი 1:2–1 ექთანი 2 პაციენტთან. – < 8წლის ასაკის პაციენტი ოჯახის წევრის გარეშე ან დამხმარე ჯგუფის წევრების გარეშე. – პაციენტის თავდაპირველი ჰოსპიტალიზირების შემდგომი პროცედურები ჯგუფი 1:1–1ექთანი 1 პაციენტთან. – არასტაბილური პაციენტი ნებისმიერ ასაკში. ძირითადი პერსონალის გუნდი უნდა მოიცავდეს დამხმარე პერსონალსაც არალიცნზირებული ასისტენტები შესაძლოა დელეგირებული იქნან პაციენტის მოვლის ეტაპზე დასახმარებლად სხვადასხვა დავალებებით. (ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.)</p>
<p>გახანგრძლივებული დაკვირვება. მზრუნველობის ეტაპი</p>	<p>ორი კომპეტენტური პერსონალი (ექთანი), რომელთაგან ერთ–ერთი რეგისტრირებული ექთანი, კომპეტენციას შესაბამის პაციენტთა ნაკადისთვის, ერთიანდება იმ გარემოში, სადაც პაციენტს ესაჭიროება მზრუნველობა დაკვირვების/ობსერვაციის სახით. სხვა დამატებითი რეგისტრირებული ექთნების ან დამხმარე პირების პროცესში ჩართვა დამოკიდებულია პაციენტის მდგომარეობის ხარისხზე, პაციენტის შეფასების შედეგებზე და ფიზიკურ მდგომარეობაზე.</p>	<p>გახანგრძლივებული დაკვირვებისა და მზრუნველობის საფეხური. ჯგუფი 1:3/5–1 ექთანი 3 ან 5 პაციენტისთვის. პაციენტის მაგალითი, რომელიც შესაძლოა იმყოფებოდეს ამგვარი მზრუნველობის ქვეშ, მოცემულია ქვემოთ: – პაციენტები, რომლებიც ელოდებიან გაწერა/ტრანსპორტირებას სახლში. – პაციენტები მომვლელის გარეშე. – პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ისეთი პროცედურები, რაც საჭიროებს გახანგრძლივებულ ზედამხედველობას(პოტენციური რისკი სისხლდენისა, ტკივილის მენეჯმენტირება, პოსტოპერაციული ღებინება, გულის რევის შეგრძნება). – სტაციონარში მყოფი პაციენტები. ძირითადი პერსონალის გუნდი უნდა მოიცავდეს დამხმარე პერსონალსაც არალიცნზირებული ასისტენტები შესაძლოა დელეგირებული იქნან პაციენტის მოვლის ეტაპზე დასახმარებლად სხვადასხვა დავალებებით. (ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.)</p>
<p>მომსახურების განხორციელება</p>	<p>რეგისტრირებული ექთანი აფასებს პაციენტისთვის განხორციელებული პროცედურების შედეგებს, მის მდგომარეობასა და მზაობას და ადასტურებინებს ბრძანების ოქმს ანესთეზიოლოგს/ქირურგს პაციენტის გაწერისთვის დაწესებულების რეგულაციის მიხედვით.</p>	<p>პერიანესთეზიის ექთნები იყენებენ ძირითად პროტოკოლებს კომუნიკაციისა და პაციენტის ინფორმირება/თანხმობის შესახებ , ისინი მოდელირებას ახდენენ პერიანესთეზიის პაციენტის ტრანსპორტირებისთვის. 1. უნდა არსებობს პოლიტიკა იმისათვის, რომ უზრუნველყოფს პაციენტების უსაფრთხო გადაყვანა. – პროფესიონალი ექთანი განსაზღვრავს თანხმობის პერსონალის რეჟიმს, ნომერს და კომპეტენციის დონეს პაციენტის საჭიროებისამებრ. – პროფესიონალი ექთანი უზრუნველყოფს შესაბამის ხელმისაწვდომობას პაციენტის ტრანსპორტირებისთვის სხვა დაწესებულებაში. – პროფესიონალი ექთანი უზრუნველყოფს ტრანსპორტირებისას შექმნილი გადაუღებელი და საგანგემო მდგომარეობის დროს სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას 2. პროფესიონალი ექთანი უნდა ახლდეს პაციენტს: – როცა მოითხოვს უწყვეტ კარდიოლოგიურ მონიტორინგს – ან უწყვეტ მკურნალობას(მედიკამენტის მიწოდების სახით)</p>

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

		გადაადგილების პროცესში(ვაზოპრესულ ინფუზიას, პულსოქსიმეტრიას და სხვა).
პოსტოპერაციული პერიოდის მიმდინარეობა	რეგისტრირებული ექთანი ასრულებს მდგომარეობის მიმდინარეობის შეფასებას, ამბულატორიულ პოსტოპერაციულ ეტაპზე.	ქირურგის ამბულატორიული პაციენტები არიან შეფასებულნი პოსტოპერაციულად. მოქმედებების და შესაბამისი რეაგირების ფარგლები დამოკიდებულია პაციენტის საჭიროებებზე, მზრუნველობაზე, მკურნალობაზე და მომსახურების უზრუნველყოფაზე. ინდივიდუალურმა ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ მომსახურების სერვისები პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.
AORN Position Statement on Perioperative Safe Staffing and On-Call Practices		

საექთნო მედპერსონალის პოზიციები, კომპეტენციების დიაპაზონი და ფუნქციები ქირურგიული სერვისების ნებისმიერ დონეზე სამი ძირითადი კატეგორიის მიხედვით:

1. კლინიკური მხარდაჭერა ქირურგიული პაციენტების მართვის ეტაპზე

ამბულატორიულ ეტაპზე პრეოპერაციული დაგეგმვა- პრაქტიკოსი ექთანი

კომპეტენცია- V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“

ფუნქცია:

- ა) წინასაოპერაციოდ დაგეგმილი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ორგანიზება, პაციენტის მობილიზება მომზადება
- ბ) სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება რეგულაციების შესაბამისად
- გ) კომპეტენციის შესაბამისად პაციენტისა და პაციენტთა ოჯახის წევრების განათლება

სტაციონარულ ეტაპზე პრეოპერაციული საექთნო მართვა- პრაქტიკოსი ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“

ფუნქცია:

- ა) წინასაოპერაციოდ ჩატარებული ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების შედეგების მობილიზება
- ბ) პაციენტის წინასაოპერაციო მომზადება : კომუნიკაცია/ინფორმირება; პაციენტის შეფასება და ჩარევის კატეგორიის განსაზღვრა; ჰიგიენა; ტრანსპორტირება;
- გ) პოსტოპერაციული პაციენტის გახანგრძლივებული დაკვირვებისა და მზრუნველობის (III) ეტაპზე საექთნო პროცესის მართვა

ინტრაოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა

საოპერაციოს პრაქტიკოსი ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ინტრაოპერაციული საექთნო მართვა- საოპერაციოს ექთანი“

ფუნქცია:

- ა) ინტრაოპერაციულ ეტაპზე საექთნო პროცესის მართვა
- ბ) ქირურგის ასისტირება ინტრაოპერაციულ ეტაპზე
- გ) უსაფრთხოებისა და ინფექციის კონტროლის დონის მიხედვით ორგანიზება/კონტროლი

საოპერაციოს ექთნის დამხმარე (scrub) ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან III საფეხურის ექთნის თანამემწე ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომის შემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ინტრაოპერაციული საექთნო მართვა- საოპერაციოს ექთანი“

ფუნქცია:

- ა) ინტრაოპერაციულ ეტაპზე საექთნო პროცესის მართვა - პაციენტის მომზადება (პოზიცია)
- ბ) საოპერაციო ოთახის მომზადება, პრე/პოსტოპერაციულად - საოპერაციო ოთახის დამუშავება
- გ) საოპერაციოს ექთნის ასისტირება

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

ანესთეზიის პრაქტიკოსი ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა და ანესთეზია“

ფუნქცია:

- ა) ინტრაოპერაციულ ეტაპზე საექთნო პროცესის მართვა ანესთეზიის ტიპებისა და ეტაპების შესაბამისად
- ბ) პოსტოპერაციული მოვლის I ეტაპზე საექთნო პროცესის მართვა ანესთეზიის ტიპებისა და ეტაპების შესაბამისად

პოსტოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა

პოსტოპერაციული მართვის I და II ეტაპზე პრაქტიკოსი ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა და ანესთეზია“

ფუნქცია: პოსტოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა მდგომარეობისა და საჭიროებების შესაბამისად საექთნო პროცესის მართვა

2. მენეჯმენტი - პროცესის ორგანიზაციული მართვითი მხარდაჭერა ქირურგიული პაციენტების მართვის ეტაპზე

პერიოპერაციის ექთანი (ხელმძღვანელი, პრე/ინტრა/პოსტ ოპერაციულ ეტაპზე), კლინიკური კოორდინატორი და ხარისხის კონტროლი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“; „ინტრაოპერაციული საექთნო მართვა- საოპერაციოს ექთანი“; „ ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“;

ფუნქცია:

- ა) პერიოპერაციულ ეტაპზე პსაექთნო კლინიკური აქტივობების ორგანიზება და კონტროლი
- ბ) პერიოპერაციულ ეტაპზე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის უზრუნველყოფა
- გ) პერსონალის შერჩევა, მომზადება, გადანაწილება და ფუნქციების დელეგირება
- დ) პრობლემაზე ფოკუსირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების ორგანიზება/განხორციელება
- ე) საჭირო რესურსების მართვა
- ვ) ქირურგიული ჩარევების მიხედვით პაციენტთა ტრიაჟი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა

პრე/პოსტოპერაციული დაგეგმვის ექთანი - (პაციენტთა მიღება-გაწერის პროცესის ორგანიზება/კონტროლი)

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“

ფუნქცია:

- ა) პრეოპერაციულ ეტაპზე ქირურგიული ჩარევების შესაბამისად პაციენტის მიღება, რეგისტრაცია, დაგეგმილი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ორგანიზება/პაციენტის თანხლება/კოორდინირება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება
- ბ) ქირურგიული ჩარევების შესაბამისად პაციენტის ინფორმირება, განათლება პრე/პოსტოპერაციულ ეტაპზე.

რეგისტრაციის ექთანი

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“

ფუნქცია: პრე/პოსტოპერაციულ ეტაპზე პაციენტთა მოძრაობის რეგისტრაცია, რეგულირების შესაბამისი შეტყობინებების უზრუნველყოფა საჯარო სამსახურებში.

პრე/პოსტ კლინიკური კოორდინატორი (ქირურგიული სტაციონარის უფ. ექთანი)

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“; „ ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“;

ფუნქცია:

- ა) პრე/პოსტოპერაციულ ეტაპზე საექთნო კლინიკური აქტივობების ორგანიზება და კონტროლი
- ბ) პრე/პოსტოპერაციულ ეტაპზე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის უზრუნველყოფა
- დ) პრობლემაზე ფოკუსირებულირაქტიკული ინსტრუქტაჟის ორგანიზება/განხორციელება
- ე) საჭირო რესურსების მართვა
- ვ) განყოფილებაში, ქირურგიული ჩარევების მიხედვით პაციენტთა ტრიაჟი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა

კლინიკური კოორდინატორი პოსტოპერაციული ზრუნვის I და II ეტაპზე (ინტენსიური/რეანიმაცია უფ. ექთანი)

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“; „ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა და ანესთეზია“

ფუნქცია:

- ა) პოსტოპერაციულ ეტაპზე საექთნო კლინიკური აქტივობების ორგანიზება და კონტროლი
- ბ) პოსტოპერაციულ ეტაპზე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის უზრუნველყოფა
- დ) პრობლემაზე ფოკუსირებულირაქტიკული ინსტრუქტაჟის ორგანიზება/განხორციელება
- ე) საჭირო რესურსების მართვა
- ვ) განყოფილებაში, ქირურგიული ჩარევების მიხედვით პაციენტთა ტრიაჟი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა

კლინიკური კოორდინატორი (საოპერაციოს უფ. ექთანი)

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“; „ინტრაოპერაციული საექთნო მართვა- საოპერაციოს ექთანი“;

ფუნქცია:

- ა) ინტრაოპერაციულ ეტაპზე საექთნო კლინიკური აქტივობების ორგანიზება და კონტროლი
- ბ) ინტრაოპერაციულ ეტაპზე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის უზრუნველყოფა
- დ) პრობლემაზე ფოკუსირებულირაქტიკული ინსტრუქტაჟის ორგანიზება/განხორციელება
- ე) საჭირო რესურსების მართვა
- ვ) განყოფილებაში, ქირურგიული ჩარევების მიხედვით პაციენტთა ტრიაჟი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა
- ზ) ქირურგიული ჩარევების მიხედვით ოპერაციების განრიგის შედგენა და განხორციელების კონტროლი

მტკიცებითი მედიცინის ექთანი - საუკეთესო საექთნო პრაქტიკის დანერგვა

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექთნო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ ლიდერობა და მენეჯმენტი“; „ ინფექციის პრევენცია და კონტროლი“

ფუნქცია:

- ა) პერიოპერაციულ ეტაპზე საექთნო კლინიკური აქტივობების/საუკეთესო პრაქტიკის ორგანიზება და კონტროლი
- ბ) პოსტოპერაციულ ეტაპზე ინფექციის პრევენციისა და კონტროლის უზრუნველყოფა - საექთნო კლინიკური პროტოკოლების დანერგვა, პრაქტიკული ინსტრუქტაჟის საფუძველზე
- გ) საექთნო საქმიანობის კლინიკური აქტივობების შეფასება, პრობლემების გამოვლენა და პრობლემაზე ფოკუსირებული რაქტიკული ინსტრუქტაჟი

3. უსაფრთხოება და რესურსების კონტროლი ქირურგიული პაციენტების მართვის ეტაპზე

პაციენტის ტრასპორტირებაზე პასუხისმგებელი ექთანი

კომპეტენცია - III საფეხურის დიპლომირებული ექთნის თანაშემწე ან საექთნო საქმის ბაკალავრის მე-3 სემესტრიდან + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება პარამედიკოსებისთვის“;

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

ფუნქცია:

ა) პაციენტთა უსაფრთხო ტრანსპორტირება

სამედიცინო ნარჩენებსა და თეთრეულზე პასუხისმგებელი პირი

კომპეტენცია - დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ შრომითი უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ღონისძიებები“ „სამედიცინო დაწესებულების დასუფთავება“

ფუნქცია:

- ა) ნარჩენების მენეჯმენტი
- ბ) სამედიცინო თეთრეულის მენეჯმენტი
- გ) სამედიცინო დაწესებულების დასუფთავება

პაციენტის არეებისა და აღჭურვილობის დამუშავებაზე პასუხისმგებელი ექთანი (III საფ. თანაშემწე)

კომპეტენცია - III საფეხურის დიპლომირებული ექთნის თანაშემწე ან საექტონო საქმის ბაკალავრის/V საფეხურის ექთნის მე-3 მემესტრიდან + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ შრომითი უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ღონისძიებები“ „სამედიცინო დაწესებულების დასუფთავება“ „ინფექციის პრევენცია და კონტროლი“

ფუნქცია:

- ა) ნარჩენების სეგრეგაცია
- ბ) პაციენტის მოვლა/ჰიგიენა
- გ) პაციენტის კვება
- დ) პაციენტის არეში აღჭურვილობის დეკონტამინაცია, დეზინფექცია
- ე) ექთნის ასისტირება

ტექნიკური აღჭურვილობის ექთანი - პაციენტთა პერიოპერაციული მართვის ეტაპზე, ტექნიკური აღჭურვილობის ექთანი პასუხისმგებელია მოწყობილობის შენარჩუნების, აღდგენის და პერსონალის მომზადებაზე შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებისათვის.

ეს როლი არის დამხმარე, მაგრამ უნდა შეესაბამებოდეს 2 (ორ) ზედამხედველობას კვირაში - 1 აღჭურვილობის ექთანი კვირაში 2 სამუშაო დღე, პრე/პოსტოპერაციულ ეტაპზე.

ინტრაოპერაციულ ეტაპზე - 24/7 (3 საოპერაციო ოთახზე 1 ექთანი)

კომპეტენცია - V საფეხურის დიპლომირებული პრაქტიკოსი ექთანი ან საექტონო საქმის ბაკალავრი + დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო კურსი „ სამედიცინო აპარატურის გამოყენების წესი და უსაფრთხო სამედიცინო პრაქტიკა“;

ქირურგიული საბაზისო სერვისების დონეები:

- ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოვლის დონეები – Emerg – I, II, III, IV;
- ბ) ტრავმის/დაზიანების მართვის დონეები –Tr– I, II, III, IV;
- გ) ქირურგიული სერვისების (ოპერაციების კატეგორიების მიხედვით) დონეები - Surg – I, II, III;
- დ) პერინატალური მოვლის დონეები – Per - I, II, III;
- ე) ინტენსიური მოვლის დონეები – ICU - I, II, III;
- ვ) კარდიოლოგიური სერვისის დონეები- Cor - I, II, III;
- ზ) ნევროლოგიური სერვისის დონეები- Neur - I, II, III.

ქირურგიული სერვისების (როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილთა) დონეები ჩარევების მიხედვით

- ა) I დონე – აწარმოებს I, II და III კატეგორიის ქირურგიულ ჩარევებს;
- ბ) II დონე – აწარმოებს I, II, III და IV კატეგორიის ქირურგიულ ჩარევებს;
- გ) III დონე – აწარმოებს I, II, III, IV და V კატეგორიის ქირურგიულ ჩარევებს.
I კატეგორიის ქირურგიულ ჩარევებს მიეკუთვნება ამბულატორიული ქირურგიული პროცედურები.

დონეების მიხედვით შემაჯამებელი მონაცემები იხ. ცხრილი N2(ექსელის ფორმატი)

რესურსები:

- AORN Position Statement on Perioperative Safe Staffing and On-Call Practices
- საექტონო პროფესიული სტანდარტი სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი , 2015 ; <http://vet.ge/direction2/?d=10&sub=35&mod=67> პროფესიული სტანდარტის კოდი: 090552 პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: 09101-ს პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით – 2230)

ა(ა) იპ საქართველოს ექთანთა გაერთიანება
2019წ

- The Importance of the Optimal Nurse-to-Patient Ratio Created Nov 10 2016, by [LIPPINCOTT NURSING EDUCATION](#);
Nurse-to-Patient Ratio
- Core Standards for ICUs - Ed 1 2013
- How Many Nurses per Patient? Measurements of Nurse Staffing in Health Services Research. Joanne Spetz, Nancy Donaldson, Carolyn Aydin, and Diane S. Brown
- ANA website-staffing-and-acuity-systems-pdf-final_2017
- ER stafing .CENA-STAFFING-STANDARDS_FINAL-DRAFT-version
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-9/ნ 2016 წლის 4 მარტი ქ. თბილისი - სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე